ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №35/გ-35

ქ. მცხეთა 23 დეკემბერი 2014 წელი

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 17 დეკემბრისმ N43 განკარგულების და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2014 წლის 18 დეკემბრის N517 ბრძანების თანახმად, ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, შემდგომში „შემსყიდველი", წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით და მეორეს მხრივ ფ.პ „სოსლანი ჯაბანაშვილი" სახით, შემდგომში „მომწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. მცხეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხეების მოჭრის, გაკაფვის მომსახურების შესყიდვა, რაოდენობა 280 კბ.მ . (თან ერთვის მოსაჭრელი ხეების ჩამონათვალი სოფლების მიხედვით). (CPV77210000).

2. მომსახურების ვადა და ღირებულება

2.1 მომსახურების მიწოდების ვადაა 2015 წლის 30 იანვრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა – 11864 (თერთმეტიათასრვაასსამოცდათოთხი) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მომწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;

4.1.1 გაუწიოს მომსახურება ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს გასაწევი მომსახურების ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო გასაწევი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს მოახდენს მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი ლევან ქიტუაშვილი და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელი შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
11.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.
11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 31 მარტის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„მომწოდებელი"	„შემსყიდველი"
ფ.პ „სოსლანი ჯაბანაშვილი"	მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ს/კოდი: 06001000308	ს/კოდი: 236098824
სს „ლიბერთი ბანკი"	ბანკი: „ლიბერთი ბანკი"-ს მცხეთის ფილიალი
მცხეთის ფილიალი	
ბ/კ LBRTGE22	ბ/კ LBRTGE22
ა/ა GE85LB0711138527996000	ა/ა GE11LB0120118541380000
მის: სოფ. წეროვანი	მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7
ფ.პ	მუნიციპალიტეტის გამგებელი
ს. ჯაბანაშვილი	ზ. აბესაძე
599 20 96 80	